

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეების დროებითი (6 თვემდე) ლეგალური დასაქმება პოლონეთში. IOM ეხმარება შერჩეულ კანდიდატს დამსაქმებელთან დაკავშირებაში და სამუშაო ვიზის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მაგრამ სამუშაო ვიზის აღებასთან და მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სავიზო მოსაკრებელი - 60 ევრო, სამოგზაურო-სამედიცინო დაზღვევა - 30 ლარი, სამგზავრო ბილეთი - 100-დან 250 ევრომდე, ასევე სარეზერვო თანხა ანგარიშზე - 400 ევრო) ფარავს თვითონ სამუშაოს მაძიებელი. განცხადებაში ასახულია დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და IOM არ იღებს პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით. დასაქმების დამატებითი დეტალები ზუსტდება დამსაქმებელთან გასაუბრებით.

### **ვაკანსია: თერმული იზოლაციის სპეციალისტები (5-კაციანი ბრიგადა)**

**სამუშაო ადგილი:** სამშენებლო სამუშაოები ძირითადად არის დოლნოსლასკის რეგიონში (პოლონეთი), მაგრამ ყოველი შეკვეთის (მშენებლობის პროექტის) დასრულების შემდეგ შეიძლება შეიცვალოს სამუშაო ადგილის მისამართი.

### **სამუშაოს აღწერა:**

- თერმული იზოლაცია, გამოყენებული მასალები - ქაფი, პოლოსტირონი, წებო, თაბაშირი, ბადე ა.შ.

### **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

მოეთხოვება თერმოიზოლაციურ სამუშაოებზე სამუშაო გამოცდილება (მინიმუმ 2-3 წელი); სასურველია სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერტიფიკატი).

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნები:** უნდა იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი. განსაკუთრებული მოთხოვნები არ არის.

### **სამუშაო პირობები :**

- **სამუშაო რეჟიმი:** შეთანხმება მოხდება ზედამხედველთან ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

### **ხელფასი:**

- 40 პოლონური ზლოტი (დაახ. 9,5 ევრო) 1 კვ. მ-ზე 5 კაციანი ბრიგადაზე (8 ზლოტი, დაახ. 2 ევრო 1 კვადრატულ მეტრზე / კაცზე). 5 კაციანი ბრიგადას 1,5 თვის მუშაობისას, როგორც წესი, შეუძლია გააკეთოს 1000 კვ.მ. შესაბამისად, ერთ კაცზე თვესაბრუნო განმავლობაში გამომუშავება შეადგენს 8000 ზლოტს/1900 ევროს.

### **ხელფასის გადახდა:**

- თვეში ერთხელ, სამუშაო თვის დადგენილ დროს, დამსაქმებელთან თარიღის შეთანხმების მიხედვით.

სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობა: 6 თვე, შემდგომში გაგრძელების პერსპექტივით 1 წლამდე და მეტი ხანგრძლივობით.

### სოციალური პირობები

- ✓ საცხოვრებელი უზრუნველყოფა: განცალკევებული სახლი, რომელიც შედგება 2-3 ოთახიანი ბინებისგან. საცხოვრებლის ღირებულებას (500 pzl - დაახ. 120 ევრო ერთი ადამიანისთვის) იხდის მომუშავე. სხვა კონკრეტული პირობები ზუსტდება დამსაქმებელთან.
- ✓ კორპორატიული სამედიცინო დაზღვევა: გათვალისწინებულია - პირველადი ჯანდაცვის ექიმი და საავადმყოფოში მკურნალობა.

### ზოგადი მოთხოვნები:

- უცხო ენა: რუსული, ან პოლონური (საუბარი, კითხვა, წერა ელემენტარულ დონეზე).

სქესსა და ასაკს არა აქვს მნიშვნელობა.

გთხოვთ, ვაკანსიით დაინტერესებულმა პირებმა რეზიუმე (CV) ფოტოთი და ასევე დიპლომის ან სერტიფიკატის ასლი(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე გამოაგზავნონ შემდეგ ელ. ფოსტაზე: [tantadze@iom.int](mailto:tantadze@iom.int) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებთ ვაკანსიის მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ მხოლოდ სამუშაო დღეებში, 9-დან 17 საათამდე შემდეგ ტელეფონებზე: 577 43 46 44